<u>მოგესალმებით,</u>საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად ახლადარჩეული საკრებულოს პირველი სხდომა მოიწვია საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და მე სოფიო ფერაძეს, როგორც №58 წყალტუბოს საოლქოს თავმჯდომარეს, მაქვს პატივი გავხსნა საკრებულოს პირველი სხდომა და აქვე წარმოგიდგინოთ, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ძალაუფლების დემოკრატიულად განაწილების იურიდიული დოკუმენტი, 2021წლის 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგები.

დამეთანხმებით, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არჩევნები იყო წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთათვის, რადგან მათ აირჩიეს თავიანთ მუნიციპალიტეტის თემის მერი და ასევე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს--საკრებულოს წევრები.

მოგეხსენებათ,საარჩევნო კოდექსის თანახმად წყალტუბოს მუნიციპალიტეტში დაინიშნა მერის არჩევნების 2-ე ტური და ასევე მეორე ტური დაინიშნა ერთ-ერთ მაჟორიტარულ ოლქში.

2021 წელს მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები, განხორციელდა ხმის დათვლის პროცესის ვიდეოგადაღება, საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ წილისყრით შეირჩა და გადაითვალა საარჩევნო უბნების შედეგები, რამაც უზრუნველყო პროცესის უფრო გამჭვირვალობა. ასევე, პანდემია ერთ-ერთი იყო იმ გამოწვევებს შორის, რომელიც 2021 წლის არჩევნებზე საარჩევნო ადმინისტრაციის წინაშე იდგა და საარჩევნო ადმინისტრაციამ წარმატებით გაართვა თავი. ამას ადასტურებს საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის შეფასებაც, რომლის თანახმადაც არჩევნები იყო კარგად და პროფესიულ დონეზე ორგანიზებული, დაცული იყო კოვიდრეგულაციები.

წარმოგიდგენთ 2021 წლის 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შესახებ ინფორმაციას და სტატისტიკურ მონაცემებს. N58 წყალტუბოს ოლქის სამოქმედო ტერიტორიაზე სამართლებრივი აქტით განკარგულებით შეიქმნა 13 ერთმანდატიანი მაჟორიტარული ოლქი და ასევე მასში შემავალი 67 საარჩევნო უბნის საზღვრები. არჩევნებში მონაწილეობის მიზნით რეგისტრაცია გაიარა 12, პოლიტიკურმა პარტიამ.მერობის -4 კანდიდატმა,არჩევნებისთვის 13 ერთმანდატიან მაჟორიტარულ ოლქში რეგისტრირებული იყო მაჟორიტარ დეპუტატობის -48 კანდიდატი,პროპორციულ საარჩევნო სისტემით წარდგენილი იყო სულ -363 კანდიდატი,საკრებულოს მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემით ასარჩევი მანდატების რაოდენობა იყო -39.

რაც შეეხება, ამომრჩეველთა რაოდენობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 1 ტურში შეადგენდა -- **50 489**--ს. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო--**26 125**-მა ამომრჩეველმა. რაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის **52%**-ია. არჩევნებში მონაწილეებიდან--**46%**--ი ქალია, **54%** კი კაცი.ხოლო **მე-2** ტურში ამომრჩეველთა რაოდენობა შეადგენდა-**50 419**, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო--**23 918**-მა ამომრჩეველმა. რაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის-**47%**-ია

ადგილობრივი თვითმმართველობის პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების მიხედვით, კანონით განსაზღვრული ბარიერი 3 საარჩევნო სუბიექტმა გადალახა. ესენია:

N 5 პარტია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-- მიღებული ხმებია-- **9 974** , რაც შეადგენს მოსული ამომრჩეველთა --**39,73**%-ს. მიღებული მანდატი--**12.**

N 25 პარტია ,,გახარია საქართველოსთვის." მიღებული ხმებია--**1 057** . რაც მოსული ამომრჩეველთა--**4,21**%-ია. მანდატი-- **1**.

N 41 პარტია ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო". მიღებული ხმებია-**11 226** -ი. რაც მოსული ამომრჩეველთა **44,72%-ია.** მიღებული მანდატები--**13.**

2021 წლის 2ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის **მაჟორიტარული** საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების მიხედვით, კანონმდებლობთ განსაზღვრულ 13 ერთმანდატიან მაჟორიტარულ ოლქში გაიმარჯვა ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს მიერ წარდგენილმა 12 კანდიდატმა,ხოლო ერთ მაჟორიტარულ ოლქში ნაციონალური მოძრაობის მიერ წარდგენილმა 1-მა კანდიდატმა.

საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად მერის არჩევნების მე-2 ტურში გადავიდა 2კანდიდატი,რომლებმაც 1 ტურში სხვებზე მეტი ხმა მიიღეს.

2021 წლის 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის მე-2 ტურის არჩევნების შედეგების მიხედვით ბატონი გენადი ბალანჩივაძე თვითმმართველი თემის არჩეული მერი გახდა.მიღებული ხმებია-**13 341**,მისი ოპონენტის ხმების რაოდებაა-**10 008**

მინდა მადლობა გადავუხადო პირველ რიგში თითოეულ ამომრჩეველს, ვინაიდან მათ არჩევნებში მონაწილეობით გამოიჩინეს მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა.

მინდა ასევე ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო საარჩევნო ადმინისტრაციას, ცესკოს, საოლქო საარჩევნო კომისიის სრულ შემადგენლობას რათა ისინი მათზე დაკისრებულ მოვალეობას მაღალი პროფესიული პასუხისმგებლობითა

და დაუღალავი შრომით ანხორციელებდნენ. ასევე არ შემიძლია მადლობა არ გადავუხადო 69-ე უბნის კომისიის წევრებს , რომლებმაც მიუხედავად სტრესული საარჩევნო დღის რეჟიმისა, დაუღალავი შრომისა, წარმატებულად გაართვეს თავი და ხელი შეუწყვეს ამომრჩეველთა თავისუფალი ნების გამოვლენას. ასევე მადლობას ვუხდი საარჩევნო პროცესებში ჩართულ მხარეებს საერთაშორისო და ადგილობრივი სადამკვირვებელო ორგანიზაციებს, ადგილობრივ მედიას, რომელიც აქტიურად იყო ჩართული საოლქო და საუბნო კომისიაში, კენჭისყრის დღის პროცედურების გაშუქებაზე. პოლიტიკურ პარტიებს, მათი მუშაობისა და მხარდაჭერისთვის ვინაიდან ერთობლივი ძალისხმევით შესაძლებელი გახდა საარჩევნო პროცესების გამჭირვალედ წარმართვა.

წყალტუბოს მოსახლეობამ უდიდესი ნდობა გამოუცხადა აქ მყოფ ახლად არჩეულ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს და დარწმუნებული ვარ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს საკრებულოს საქმიანობა იქნება წარმატებული და ნაყოფიერი. და კიდევ ერთხელ მინდა გისურვოთ წარმატებები თქვენს მომავალ საქმიანობაში!!

ახლა კი მსურს დროებით სამანდატო კომისიას გადავცე ერთი საქაღალდე, საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობისათვის საჭირო დოკუმენტაცია. ,აქვე მინდა მოვიწვიო უხუცესი წევრი ბატონი ჯეირან ომანაძე,რომელიც გაუძღვება საკრებულოს პირველ სხდომას და გააგრძელებს შემდგომ პროცედურებს.